პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი ივნისი, 2024 წელი

**ქ. ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე უძრავი ქონებიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 1/3 წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 04 ივნისის N5015/02 წერილის საფუძველზე,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქ.ბათუმში, ჯაყელის ქუჩა N44-ში მდებარე 9981,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 05.31.13.053) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 1/3 წილი.
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი
## პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქ. ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე უძრავი ქონებიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 1/3 წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 04 ივნისის N5015/02 (N07-142415711-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგეგმება უძრავი ქონების (ს.კ. 05.31.13.053) პრივატიზება, პოზიტიური პირობით. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 27 მარტის N01-01-10/3037 კორესპონდენციის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება ქ. ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.31.13.053) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შემდგომში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2024 წლის 20 მაისის N1/1-2603 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ჯაყელის ქუჩა N44-ში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (ს.კ. 05.31.13.053).

ამ ეტაპისათვის უძრავი ქონება (ს.კ. 05.31.13.053) წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისა (1/3 წილი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (2/3 წილი) თანასაკუთრებას. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთის 1/3 წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ჯაყელის ქუჩა N44-ში მდებარე 9981,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 05.31.13.053) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 1/3 წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მ/შ ლაშა მგელაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 05.31.13.053**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882024729686 - 21/05/2024 16:20:29** | **27/05/2024 19:17:39** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ბათუმი | ურეხი | | |
| **05** | **31** | **13** | **053** |

**მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ჯაყელი , N 44**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 9981.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**05.31.07.282;**
**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:**N01/1 , N02/1 , N03/1, N04(დანგრეული), N05(დანგრეული), N06(აუზი), N07(ნაგებობა)

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882024729686 , თარიღი 21/05/2024 16:20:29**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/05/2024**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- წერილი N01-10/4696 , გაფორმების თარიღი:29/11/2016 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- ბრძანება N1/1-2603 , დამოწმების თარიღი:20/05/2024 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ბრძანება , N578 , გაფორმების თარიღი:27/06/2006 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი
- ბრძანება N01-3/403 , გაფორმების თარიღი:29/11/2016 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

**მესაკუთრეები:**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**
**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი** , ID ნომერი:245576826

| მესაკუთრე: | აღწერა: |
|---|---|
| **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი** | მიწის ნაკვეთის 1/3 წილი |
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა** | მიწის ნაკვეთის 2/3 წილი |

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

| | | | |
|---|---|---|---|
| საკადასტრო კოდი: | **05.31.13.053** | ნაკვეთის დანიშნულება: | **არასასოფლო სამეურნეო** |
| განცხადების ნომერი: | **882024224638** | ფართობი: | **9989 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**<br>**9981 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)** |
| მომზადების თარიღი: | **11/03/2024** | | |




პირობითი აღნიშვნები:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაკვეთის საზღვარი | | მშენებარე ნაგებობა | 02/1 | აშენებული ნაგებობა | | ქარსაფარი ზოლი |
| | ხაზობრივი ნაგებობა | | ტყის ფონდი | | ვალდებულება | | |

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. N119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 N119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

3037-01-01-10-2-202403271618

N 01-01-10/3037
27/03/2024

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერს ბ-ნ არჩილ ჩიქოვანს

ასლი: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.N44-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 05.31.07.282) გაიყო და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2 (ორი) საკადასტრო ერთეულად შემდეგი მონაცემებით:

1) ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.N44-ში მდებარე 6 377 კვ.მ. თანასაკუთრებაში (მესაკუთრეები: სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.07.282) და მასზე განლაგებული N01/3, N02/1, N03/1 შენობა-ნაგებობები, რომელთაგან N01/3 შენობა-ნაგებობა დაყოფილია 4 (ოთხი) საკადასტრო ერთეულად: 1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 526,60 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.07.282.01.500), 2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 212,30 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.07.282.01.501), 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 1462,40 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.07.282.01.502) და 4) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 501,64 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.07.282.01.503).

2) ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.N44-ში მდებარე 9 981 კვ.მ. თანასაკუთრებაში (მესაკუთრეები: სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.13.053) და მასზე განლაგებული N01/3, N02/1, N03/1, N04 (დანგრეული), N05 (დანგრეული), N06 (აუზი) და N07/1 (ნაგებობა) შენობა-ნაგებობები, სადაც სახელმწიფო საკუთრება არის მიწის ნაკვეთის 1/3 წილი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრება არის მიწის ნაკვეთის 2/3 წილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგეგმება ს/კ 05.31.13.053-ის პრივატიზება. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ უძრავ ქონებაში (ს/კ 05.31.13.053) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, რის სანაცვლოდ ს/კ 05.31.07.282-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 1462,40 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.31.07.282.01.502) გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გაატაროთ შესაბამისი ღონისძიებები, ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.N44-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.31.13.053) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილის ქალაქ ბათუმის

მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

დანართი: „7“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

https://edocument.ge/AdjaraGov/public3037-01-01-10-2-202403271618

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

20 / მაისი / 2024 წ.

KA021754988074824

№ 1/1-2603

# ბრძანება

## სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 02.04.2024წ. N14-142409339, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 27.03.2024წ. N01-01-10/3037 წერილებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პრივატიზების დეპარტამენტის 16.04.2024წ. N49549 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. გადაეცეს საკუთრებაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით, ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.31.13.053).
2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა № 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ დამოწმებულია ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო**

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

22 / მაისი / 2024 წ.

KA021796351597424

№ 5/27672

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

ასლი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 20.02.2024წ. N01-01-10/2187 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 02.04.2024წ. N14-142409339 დაზუსტებული მოთხოვნის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 27.03.2024წ. N01-01-10/3037 წერილის გათვალისწინებით, გამოიცა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 20.05.2024წ. N1/1-2603 ბრძანება, რომლითაც ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.31.13.053) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

დანართი: 1 ფურცელი.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/ დამოწმებულია ელექტრონულად

ნუგზარი წამალაშვილი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 5015/02 „04" 06 2024

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ არჩილ ჩიქოვანს**

**ბატონო არჩილ,**

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგეგმება უძრავი ქონების (ს/კ 05.31.13.053) პრივატიზება, პოზიტიური პირობით. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 27 მარტის N01-01-10/3037 კორესპონდენციის თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის მერიას ეთხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება ქ. ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.31.13.053) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შემდგომში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2024 წლის 20 მაისის N1/1 - 2603 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (ს/კ 05.31.13.053).

ამ ეტაპისათვის უძრავი ქონება (ს/კ 05.31.13.053) წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისა (1/3 წილი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (2/3 წილი) თანასაკუთრებას. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადმოცემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (ს/კ 05.31.13.053).

დანართი: „ 7 " ფურცელზე.

პატივისცემით,

**თორნიკე რიჟვაძე**

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE



ქ. გამსახურდიას ქ. N9, 6010 ბათუმი, საქართველო
ტელ.: +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

9. K. Gamsakhurdia Str., 6010 Batumi, Georgia
Phone +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 5015/02 „04“ 06 2024

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ არჩილ ჩიქოვანს**

**ბატონო არჩილ,**

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ იგეგმება უძრავი ქონების (ს/კ 05.31.13.053) პრივატიზება, პოზიტიური პირობით. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 27 მარტის N01-01-10/3037 კორესპონდენციის თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის მერიას ეთხოვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება ქ. ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.31.13.053) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შემდგომში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2024 წლის 20 მაისის N1/1 - 2603 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (ს/კ 05.31.13.053).

ამ ეტაპისათვის უძრავი ქონება (ს/კ 05.31.13.053) წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისა (1/3 წილი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (2/3 წილი) თანასაკუთრებას. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადმოცემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ ქალაქ ბათუმში, ჯაყელის ქ. N44-ში მდებარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 1/3 წილი (ს/კ 05.31.13.053).

დანართი: „ 7 “ ფურცელზე.

პატივისცემით,

**თორნიკე რიჟვაძე**



ზ. გამსახურდიას ქ. N9, 6010 ბათუმი, საქართველო
ტელ.: +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

9. K. Gamsakhurdia Str., 6010 Batumi, Georgia
Phone +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge